

საქმიანობის ანგარიში

— 2021 —

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი

საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

მომზადებულ იქნა 18 ნორმატიული აქტის პროექტი

- ნორმატიული აქტის პროექტები მომზადდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები და აფახაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით

გამოქვეყნდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის 26 დადგენილება და მინისტრის 5 ბრძანება

- აფხაზეთის ა/რ ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით აქტიური კომუნიკაციის დამყარება სსიპ – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“, გამოსაქვეყნებელი ნორმატიული მასალის შემოწმება, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოჩენა-გამოსწორება და კანონით დადგენილი წესით დოკუმენტების მაცნეში გადაგზავნა

სამართლებრივი ექსპერტიზა

კანონმდებლობასთან შესაბამისობა დადგინდა 23 სამართლებრივ აქტზე

- განხორციელდა აფხაზეთის ა/რ კანონმდებლობის ნორმატიული ბაზის შიდა შესაბამისობის უზრუნველყოფა (ურთიერთთავსებადობა) და ასევე, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან აფხაზეთის კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენა

სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა 7 ბრძანების პროექტს

- უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება

სამართლებრივი მხარდაჭერა

სამართლებრივი კონსულტაციები გაეწია
233 პირს

განხორციელდა აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების
ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენა

მომზადდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ ანგარიში

- თავისუფალი გადაადგილების უფლება
- პასპორტიზაცია
- საკუთრების უფლება
- ქალთა უფლებები
- ბავშვთა უფლებები
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
- კრიმინალი
- COVID-19

სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა

აფხაზეთის ა/რ ნორმატიული აქტების აფხაზურ ენაზე თარგმნა

- უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თარგმნა აფხაზურ ენაზე
- გამოიცა ბეჭდური სახით ქართულ და აფხაზურ ენებზე „აფხაზეთის ა/რ მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონი.

აფხაზეთის ა/რ 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციის ხელმომწერი პირები

-ბ. შინკუბა
-ვ. კობახია

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

„ხელოვნება გვაერთიანებს“

2021 წლის კალენდარის პრეზენტაცია

- კალენდარში ასახულია პოეტების მიერ ქართულ-აფხაზურ თემაზე შექმნილი ლექსები , რომლის მიზანია ქართველებისა და აფხაზების უნიკალური ურთიერთობების წარმოჩენა

მოეწყო ფოტოგამოფენები

- „საბჭოთა ოკუპაციის 100 წელი“
- „მუჰაჯირობა“
- „აფხაზეთი დღეს“



აფხაზეთობა 2021

გაიხსნა აფხაზური ისტორიის სახლი

აფხაზეთის ღვაწლმოსილ ადამიანებს „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ გადაეცათ ჯილდოები

ილორის წმინდა გიორგი ეკლესიის ეზოში დაირგო მწვანე ნარგავები

გაიმართა გამოფენები

ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისსა და წყალტუბოში დევნილი ბავშვებისთვის გაიმართა სახვადასხვა გასართობი ღონისძიებები და გადაეცათ საჩუქრები

საგანმანათლებლო ღონისძიებები

სასწავლო კურსი – საგრანტო პროექტების წერა

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად განხორციელდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ეფექტური პროექტების წერისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის სასწავლო კურსი

ლექცია თეაზე **ქოუჩინგი წარმატებისთვის** . ლექციას ესწრებოდა 80 მსმენელი

„ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება“

ონლაინ ტრენინგი აფხაზეთის მე-2 საჯაროს სკოლის მოსწავლეებისთვის

საგანმანათლებლო ღონისძიებები

ევროპული არდადეგები

- პროექტის ფარგლებში დევნილი ახალგაზრდებისთვის სემინარი გაიმართა საგურამოში
- სემინარის თემები: ადამიანის უფლებები, ტოლერანტობა და ქართული კულტურა – როგორც საერთო ევროპული ტრადიციისა და ღირებულებების ნაწილი
- პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მიმდინარეობს ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
- პროექტი იმართება საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, სსიპ – „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ერთობლივი ორგანიზებით



ესეების კონკურსი

გაიმართა ესეების კონკურსი

მონაწილეობა მიიღო 30-მა პირმა

- საკონკურსო კომისიის მიერ შეირჩა 10 საუკეთესო ნაშრომი
- საუკეთესო ნაშრომის ავტორებს, ფულადი ჯილდო და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ

საგანმანათლებლო ღონისძიებები

გერმანული ენის შემსწავლელი კურსი

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით

აფხაზეთიდან დევნილი 150-მდე პირი

გაივლის გერმანული ენის კურსს

საკვირაო სკოლა

ა(ა)იპ - აფხაზეთის ა/რ სულიერების ცენტრის მხარდაჭერით, ფუნქციონირებას იწყებს საკვირაო სკოლა, სადაც 6-დან 16 წლამდე **100 ახალგაზრდა ჩაერთვება** საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში

სამეცნიერო კონფერენციები

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზების ძიების პროცესში და აფხაზური კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების ჩართულობით გაიმართა

სამეცნიერო კონფერენციები

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში
- ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში
- სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში
- თბილისის მრავალპროფილურ კოლეჯში - „სპექტრი“

სპორტული ღონისძიებები

ტურნირი მინი ფეხბურთში

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს თანადგომით იმერეთის რეგიონში ჩატარდა ტურნირი მინი ფეხბურთში **ტურნირში მონაწილეობა მიიღო 40 ახალგაზრდამ**

სხვა ღონისძიებები

ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“

- დიასპორის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან
- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოეწყო გამოფენა და შედგა ონლაინ შეხვედრა ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლების მოსწავლეებთან

ლიდერი ქალები სამოქალაქო ინტეგრაციისთვის

- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალბატონების გაერთიანება, ერთმანეთთან თანამშრომლობის წახალისება და შეხვედრების გააქტიურება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან

გამწვანების აქცია

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

საქართველოს საპატრიარქოს მოზარდთა თავშესაფრისა და ღვთისმშობლის საფარველის სახელობის დედათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო მწვანე ნარგავები

ილორის წმინდა გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესიის ეზოში რამდენიმე ათეული ძირი აფხაზური და მეგრული ვაზის უნიკალური ჯიშები დაირგო

სოციალური მხარდაჭერა

დედის და ქალთა დღესთან დაკავშირებით – საჩუქრები დაურიგდათ აფხაზეთის ომში მონაწილე ქალბატონებს და სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა ოჯახის წევრებს. 9 მაისის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით – ასევე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გადაეცათ ვაუჩერები და სასურსათო პაკეტები

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით – სააღდგომო საჩუქრები გადაეცა სოციალურად დაუცველი 50-მდე ოჯახს

1 ივნისის ბავშვთა დღესთან დაკავშირებით – მუშტაიდის ბაღში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის ჩატარდა ღონისძიება – „მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს“, რომლის ფარგლებში გაიმართა კონცერტი და 130-მდე ბავშვს გადაეცა საჩუქრები

ქ. ზუგდიდში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ 300-მდე ბავშვს გადაეცა საჩუქრები

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვებს გადაეცათ წიგნები და სასაჩუქრე პაკეტები

ინფრასტრუქტურა

რეაბილიტირდა სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის შენობა

სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი რუსთავში

საქვეუწყებო დაწესებულების საქმიანობა

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა-გაუმჯობესება

შემოწმდა 633 საქმე:
- მმართველობითი 421
- პირადი შემადგენლობის 212
- საკატალოგე ბარათი 200

ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების დარგში:

განადგურდა 128 საქმე
სახელმწიფო დაცვაზე მიღებულ იქნა 95 შესანახი ერთეული, მმართველობითი - 21 და პირადი -74

შემოვიდა 169 მოთხოვნა

დადებითი პასუხი გაეცა 87 მოთხოვნას

მიმდინარე გეგმები

არქივის ელექტრონული პლატფორმის ფორმირება

სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრების მშენებლობა ბათუმსა და ზუგდიდში



გმადლობთ ყურადღებისთვის!